



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეპლიდე

ევკლიდე (Eukleidēs), ძველი ბერძენი მათემატიკოსი. მის შესახებ მნირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. სარწმუნოა მხოლოდ ის, რომ იგი მოღვაწეობდა ალექსანდრიაში ძვ. წ. III ს-ში. იყო ალექსანდრიის სკოლის პირველი მათემატიკოსი. ე-ის მთავარი თხზულება „საწყისები“ (13 წიგნი) შეიცავს პლანიმეტრიის, სტრუომეტრიისა და რიცხვთა თეორიის მრავალ საკითხს. ამ თხზულებაში მან შეაჯამა ძვ. ბერძნ. მათ. განვითარების ადრინდ. პერიოდში მიღებული შედეგები და საფუძველი ჩაუყარა მათ შემდგომ განვითარებას. ე-ს „საწყისები“ 2000 წელზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში ითვლებოდა დედუქციური სისტემისა და მათ. სიზუსტის ნიმუშად მხოლოდ XIX ს. დასასრულს დ. პილბერტის შრომების შედეგად გამოვლინდა მისი თხზულების ლოგიკური ნაკლოვანებები. უფრო ადრე, XIX ს. პირველ ნახევარში, ნ. ლობაჩევსკის, ი. ბოლიაის, კ. გაუსის, გ. რიმანის, ა. კელის, ე. ბელტრამის და სხვ. შრომებით დადგინდა, რომ ე-ს აქსიომათა სისტემა არ არის ერთადერთი და შესაძლებელია ლოგიკურად თანმიმდევრული, არანინაალდეგობრივი გეომეტრიების სისტემების აგება აქსიომათა განსხვავებულ სისტემაზე. ამან ბიძგი მისცა არაევკლიდური, რიმანული გეომეტრიების განვითარებას. ე-ს სხვა მათ. ნაშრომთაგან აღსანიშნავია 4 წიგნი: „კონუსური კვეთები“ [მასალა შევიდა ძვ. ბერძენი მათემატიკოსის აპოლონიოს პერგელის (ძვ. წ. III ს.) ამავე სახელწოდების თხზულებაში], „ფიგურათა დაყოფის შესახებ“ (შემონახულია არაბ. თარგმანი), „პორიზმები“ (ამ ნაშრომზე წარმოდგენას იძლევა პაპ ალექსანდრეს „მათემატიკური კრებული“) და პედ. ხასიათის ნაშრომი „Pseudaria“ - "მცდარი დასკვნების შესახებ" (მათემატიკაში). ე-ს აქვს შრომები აგრეთვე ასტრონომიაში („Phaenomena“ - „მოვლენები“), მუსიკასა („Sectio canonis“) და ოპტიკაში („Optika“ - შეიცავს მოძღვრებას პერსპექტივის შესახებ; („Catoptrica“ - გადმოცემულია დამახინჯებათა თეორია სარკეებში). ე-ს თხზულებები თავმოყრილია გამოცემაში „Euclidis opera omnia“, eds. L. Heibert et H. Menge, v. 1-9, 1883-1916, რ-შიც მოცემულია ბერძნ. დედნები, გვიანდ.

ავტორების ლათ. თარგმანები და კომენტარები.

თხზ.: ევკლიდეს საწყისების ქართ. თარგმანი ბერძნულიდან შეასრულა დ. ცხაკაიამ (რედ. გ. ჭოლოშვილი, თბ., 1990).
